

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგო ინვესტსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში („მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

22 / მაისი , 2017 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომ „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ,

მეორე მხრივ, შპს „ენერგო ინვესტი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404455898 (შემდგომ „კომპანია“) წარმოდგენილი დირექტორის, კახა კობაიძის მიერ და

მესამე მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომ „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ,

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:


1. შეიცვალოს მემორანდუმის დანართით N1 და N3 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული დანართის N1 და N2 სახით.
2. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
4. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა


კახა კალაძე

შპს „ენერჯო ინვესტი“



კაბა კობაძე

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“



ვახტანგ ამბოვაძე

შეთანხმების დანართი N1
მემორანდუმის დანართი N1

N	დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
1	ავანი ჰესი	კახეთის რეგიონი, მდინარე ავანისხევი	832,40 მ.ზ.დ.	638 მ.ზ.დ.	15,51 მლნ. კვტ/სთ	3,5 მგვტ

შეთანხმების დანართი N2

მემორანდუმის დანართი N3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების დაწყების თარიღი - 12 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან	დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი		ექსპლუატაციაში მიღება
16 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		24 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		

ეზაზ



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№907 2017 წლის 5 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგო ინვესტსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგო ინვესტსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ დასადები შეთანხმება.

2. საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

3. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, კომპანიის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის შემცირების თაობაზე გარანტიის გამცემ ბანკში წარსადგენ შესაბამის წერილზე საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერის

უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს, კახა
კალაძეს.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010135904725917

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№2496

27 / აპრილი / 2017 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმაღამეს


ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2017 წლის 25 აპრილის №04/1634 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯო ინვესტსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ დასადები შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ, ვინაიდან კომპანიის მიერ დარღვეულია 2015 წლის 31 მარტის ურთიერთგაგების მემორანდუმის 9.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულება ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-3 დანართით გათვალისწინებულ ვადაში მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თაობაზე, საკითხი კომპანიის მიმართ ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული სანქციების არგამოყენებასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ალექსანდრე ხარამიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/631
21/04/2017

631-01-2-201704211731



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2017 წლის 21 აპრილის N04/1554 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგო ინვესტსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი (ავანი ჰესი), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; ხაიფ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036



**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17015412, 07/02/2017 09:50:22

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ენერგო ინვესტი
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404455898
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 24/09/2013
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, გამზირი ქ. წამებული/ბოჭორმის ქ., N50/18, ბინა N125
დამატებითი ინფორმაცია:
 ელ. ფოსტა: **avanhpp@gmail.com**
 ტელეფონი: **595 727070**
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01024039456, ვახა კობაიძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
45001003133, EX627584, 19780901-00135, დავით ხახუტაშვილი, უკრაინა	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ საბზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge